

# ბრიუსელის დეკლარაცია

## ტერმინოლოგიის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ

### **ეროვნული და საერთაშორისო ტერმინოლოგიური ასოციაციების, ქსელებისა და საინფორმაციო ცენტრების წარმომადგენლები**

ითვალისწინებენ რა, რომ ტერმინოლოგია ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს;

აცნობიერებენ რა, რომ ტერმინოლოგია ინფორმაციის მიწოდების უმთავრესი საშუალებაა კონკრეტულ სპეციალიზებულ გარემოში, ამასთანავე წამყვანი როლი ეკუთვნის კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების განმტკიცებასა და ხელშეწყობაში;

ადასტურებენ რა აუცილებლობას, რომ ქვეყნის წამყვანმა სპეციალისტებმა და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა გააცნობიერონ ტერმინოლოგიის, როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობისა და ცოდნის გადაცემის, როლი;

ბაზგასმით აღნიშნავენ რა აუცილებლობას, რომ ტერმინოლოგიის დარგის პროფესიონალებმა თავიანთი მუშაობის მეთოდების დადგენისას უნდა გაითვალისწინონ ტერმინოლოგიის მომხმარებელთა შეხედულებები და მოთხოვნები;

აცნობიერებენ რა საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის აუცილებლობას ყველა მონაწილესა და დაინტერესებულ მხარესთან, განსაკუთრებით, ტერმინოლოგიური რესურსების შეთანხმებულად გაზიარების მხრივ;

ზრუნავენ რა ტერმინოლოგიის განვითარებისა და გავრცელების გაძლიერებაზე,

### **მოუწოდებენ სახელმწიფოებსა და მთავრობებს, სამთავრობათაშორისო ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე ენობრივ პოლიტიკაში ჩართულ პირებს:**

- მხარი დაუჭირონ ტერმინოლოგიურ მუშაობას ისეთ მსხვილ ეკონომიკურ გაერთიანებებში, როგორცაა ევროპის, შემდეგში - ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა (FTAA) და აგრეთვე, განავითარონ სხვა, უკვე არსებული ტერმინოლოგიური საშუალებები;
- წახალისონ ტერმინოლოგიური პოლიტიკის ჩამოყალიბება სასწავლო და საინფორმაციო პროგრამების ფარგლებში და სხვა;
- ხელი შეუწყონ თანამშრომლობის მეთოდების გაცნობას და დამკვიდრებას, რაც ითვალისწინებს მიღწეული მიზნებისა და მიღებული გამოცდილების გაზიარებას და არსებული წამოწყებებისა და პროექტების გაცნობას;
- წახალისონ წამოწყებები სამრეწველო დარგების წარმომადგენლებისა და სამთავრობო ორგანოების ცნობიერების ასამაღლებლად, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ტერმინოლოგიურ მუშაობაში;

- *ხელი შეუწყონ* დაფინანსების კონკრეტული პროგრამების შექმნას ტერმინოლოგიური მუშაობისთვის და, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის განახლებისა და განვითარებისათვის;
- *გააძლიერონ* ეროვნული სტანდარტების ინსტიტუტების აქტიური მონაწილეობა მარეგულირებელ ორგანოებში (მაგალითად, საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციის ტექნიკური კომიტეტი 37, „ტერმინოლოგია და სხვა ენობრივი რესურსები“), აგრეთვე ისეთ ორგანოებში, რომელთა მეშვეობითაც თანხმდება ტერმინოლოგიის საკითხები საერთაშორისო დონეზე, და, გარდა ამისა, იმ ორგანოებშიც, რომლებიც უზრუნველყოფენ ინტერნეტში ყველა კულტურული და ენობრივი მახასიათებლის ასახვას;
- *ხელი შეუწყონ* წამოწყებებს ტერმინოლოგიის სათანადო გამოყენებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, განათლების ყველა საფეხურზე და ყველა მიმართულებით, იქნება ეს აკადემიური თუ არაკადემიური ხასიათისა;
- *სავალდებულო გახადონ* დარგობრივი ენა და ტერმინოლოგია ყველა მთარგმნელობითი კურსისთვის და ხელი შეუწყონ მის დანერგვას ყველა სასწავლო, განსაკუთრებით, სამეცნიერო და ტექნიკურ საგნებში;
- *ხელი შეუწყონ* დიალოგს ერთი და იმავე ენის მქონე, მაგრამ ენობრივი ნორმებით განსხვავებულ ქვეყნებს შორის, რათა შეთანხმებულად შექმნან ახალი სიტყვები და ნორმირებული ტერმინოლოგია, ენობრივი სახესხვაობების გათვალისწინებით და, ამავე დროს, ურთიერთგაგების სრული დაცვით;
- *მხარი დაუჭირონ* ენობრივ მრავალფეროვნებას როგორც საგანმანათლებლო, ისე ადმინისტრაციულ და საჯარო სფეროებში;
- *ხელი შეუწყონ* სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის გავრცელებას და მასზე თავისუფალ, უფასო წვდომას; უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ტერმინებს, რომლებიც ასახულია სამთავრობო ორგანოებისა და საერთაშორისო დაწესებულებების ოფიციალურ დოკუმენტებში;
- *შეისწავლონ* ტერმინოლოგიის თანამედროვე გამოყენება და მისი როლი სამთავრობო ან სხვა დაწესებულებების სხვადასხვა სახის სტრატეგიული და პოლიტიკური მიზნებისთვის;
- განვითარებადი ქვეყნების მზარდი რაოდენობის გათვალისწინებით, რომლებიც ცდილობენ ენობრივი პოლიტიკის დანერგვას, მათი სპეციალისტები უნდა მომზადდნენ ტერმინოლოგიის პრინციპებისა და მეთოდების განსავითარებლად და უზრუნველსაყოფად; შეძლებისდაგვარად უნდა დაუჭირონ მხარი ამ სპეციალისტებს საერთაშორისო ტერმინოლოგიურ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

მიღებულია ბრიუსელში, 2002 წლის 15 ივნისს.